სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო

საკონკურსო დოკუმენტაცია

სარეკონსტრუქციო სამუშაოების

არქიტექტურული კონცეფციისა (პროექტის) და ესკიზის

შესყიდვა

CPV კოდი - 71320000 საინჟინრო-საპროექტო მომსახურება.

საკონკურსო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანების საფუძველზე

ქ. თბილისი

2013 წელი

საკონკურსო განცხადება

1. სსიპ - „ღვინის ეროვნული სააგენტო“ აცხადებს კონკურსს სარეკონსტრუქციო სამუშაოების კონცეფციის (პროექტის) და ესკიზის შესყიდვის მიზნით და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. კონკურსის მიზანს წარმოადგენს ქ. თბილისში (საკადასტრო კოდი N01.01.10.022.042), მარშალ გელოვანის გამზირი N6-ში მდებარე შენობა-ნაგებობების (N1, N2, N3, N4 და N5) სარეკონსტრუქციო სამუშაოების საუკეთესო არქიტექტურული კონცეფციის (პროექტის) და ესკიზის გამოვლენა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

3. საკონკურსო პრემია 5000 ლარის ოდენობით კონკურსში გამარჯვებულ მონაწილეს გადაეცემა შემსყიდველ ორგანიზაციასთან ხელშეკრულების გაფორმებისა და შესაბამისი საავტორო უფლებების სსიპ - „ღვინის ეროვნული სააგენტოსათვის“ გადაცემის შემდეგ, არაუგვიანეს 5 საბანკო დღის განმავლობაში.

4. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შემდეგ ანგარიშზე:

ს.ს. ბანკი „რესპუბლიკას“ ცენტრალური ფილიალი,
ბანკის კოდი: REPLGE22
მიმღები: სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
IBAN: GE52BR0000010591718543

5. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება ქართულ ენაზე, დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 2013 წლის 18 ივლისის 15:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გამრეკელის ქ. N3, სსიპ - „ღვინის ეროვნული სააგენტო“, მე-4 სართული, საქმისწარმოების სამსახური.

6. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.

7. საკონკურსო წინადადებების გახსნა და განხილვა განხორციელდება 2013 წლის 18 ივლისის 15:00 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გამრეკელის ქ. N3, სსიპ - „ღვინის ეროვნული სააგენტო“.

8. საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით დამატებითი განმარტებების მიღება შესაძლებელია საკონკურსო კომისიის აპარატში - საკონტაქტო პირი:

პაატა ნარიმანიძე, ტელ: +9953 2 37 80 52.

<u>საკონკურსო პირობები</u>

1. **შესყიდვის ობიექტის აღწერა (ტექნიკური დავალება)**

საკონკურსო პირობების თანახმად, შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ქ. თბილისში (საკადასტრო კოდი N01.01.10.022.042), მარშალ გელოვანის გამზირი N6-ში მდებარე შენობა-ნაგებობების (N1, N2, N3, N4 და N5) სარეკონსტრუქციო სამუშაოების საუკეთესო არქიტექტურული კონცეფციისა და ესკიზის გამოვლენა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ სრული სამშენებლო-საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, რომელიც უნდა მოიცავდეს:

ა) არქიტექტურულ (ინტერიერის დიზაინის პროექტი, ფასადების რეკონსტრუქციის პროექტი) და კონსტრუქციულ ნაწილებს (ჩასატარებელი გამაგრებითი და სარემონტო სამუშაოების გათვალისწინებით);

ბ) შიდა წყალ–კანალიზაციის პროექტს;

გ) შიდა ელექტროობის პროექტს;

დ) სუსტი დენების (სატელეფონო, კომპიუტერული ქსელების და სახანძრო უსაფრთხოების/ ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის) პროექტებს;

ე) გათბობა–კონდიცირება–ვენტილაციის პროექტს;

ვ) გარე ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტს (ავტომანქანების სადგომი);

ზ) სამშენებლო სამუშაოების წარმოების კალენდარულ გეგმა–გრაფიკს;

თ) პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების ხარჯთაღრიცხვას.

შენობა აშენებულია 1962 წელს, იგი შედგება 3 ფლიგელისაგან, რომელსაც გააჩნია რუსული ,,П''-ს ფორმა. ფლიგელები ერთმანეთისაგან გამოყოფილია ანტისეისმური ნაკერით. შენობის გაბარიტული ზომებია: სიგრძე 57მ., სიგანე - 41 მ., სიმაღლე - 11,5მ., ფლიგელები 1-2 სართულიანია. შენობაზე, შიდა ეზოს მხრიდან, სამივე ფლიგელზე მიშენებულია ღია დერეფნები, შესრულებული აგურის თაღოვანი სისტემით, <u>სიგანით 6,3 – 6,5 მ., ამასთან, საერთო სამშენებლო ფართი შეადგენს 3611 კვ.მ.-ს, მათ შორის: პირველი სართულის ფართობი - 1352 კვ.მ.-ს, მეორე სართულის ფართობი - 2014 კვ.მ.-ს, ხოლო მანსარდის ფართობი - 245 კვ.მ-ს. შენობის ძირითადი ფასადი მოპირკეთებულია ბუნებრივი სწორი ფორმის ქვებით და მთლიანობაში შენობის არქიტექტურა შესრულებულია მონუმენტურ სტილში.</u>

კონცეფციის შემუშავებისას სააგენტოს ოფისის 65 თანამშრომლისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს, როგორც სტრუქტურული ერთეულების, ისე ცალკეული თანამშრომლების სამსახურობრივი მოვალეობის შესრულებასა და მაქსიმალურ ურთიერთკომუნიკაციას. აუცილებელია თავმჯდომარის, მისი მოადგილის, მრჩევლისა და დეპარტამენტის უფროსებისათვის დამოუკიდებელი ოთახების მოწყობა. ასევე უნდა იქნეს გათვალისწინებული თანამშრომელთა განთავსება სამმართველოების მიხედვით, მისაღების, სააგენტოს კანცელარიის, მოლაპარაკებებისათვის განკუთვნილი ოთახების მოწყობაც. ცალკე ადგილია გამოსაყოფი საკანცელარიო მასალების შესანახად, სერვერისათვის და არქივისათვის.

სააგენტოს სადეგუსტაციო კომისია, გარდა სპეციალური 6 კაბინით აღჭურვილი ოთახისა, უზრუნველყოფილი უნდა იყოს წარსადგენი ნიმუშების მოსამზადებელი ოთახით (რომელიც უნდა ემიჯნებოდეს სადეგუსტაციო ოთახს) და ბოთლების შესანახი სათავსოთი. გასათვალისწინებელია, აგრეთვე სადეგუსტაციო კომისიის თანამშრომელთა სამუშაო ოთახის მოწყობაც.

შენობის სარდაფში მდებარეობს ენოთეკა, რომელიც მოიცავს სხვადასხვა წლებში ჩამოსხმულ და სპეციალურ თაროებზე განლაგებულ 26 ათასამდე ბოთლ ღვინოს. ღვინოების შენახვა მოითხოვს განსაკუთრებულ, იზოლირებულ გარემოს და სათანადო მიკროკლიმატური პირობების შექმნას. ენოთეკაში გათვალისწინებული უნდა იქნეს აგრეთვე ღვინოების მოვლასთან დაკავშირებული პროცესების განხორციელებისათვის აუცილებელი ოთახი.

კონცეფციის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს სპეციალური, სამუზეუმო დარბაზის მოწყობაც, სადაც წარმოჩინებული იქნება საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებასთან დაკავშირებული ისტორიული მასალა, ექსპონატები, ფოტოსურათები, ნიმუშები და სხვა. მუზეუმი განკუთვნილი იქნება, როგორც უცხოელი სტუმრებისა და სპეციალისტებისათვის, ისე ყველა დაინტერესებული პირისთვისაც.

შენობა აღჭურვილი უნდა იყოს სველი წერტილებით და ყველა საჭირო ტექნიკური აპარატურისა თუ მატერიალურ–ტექნიკური საშუალებების განსათავსებელი ოთახებით.

მიმდებარე ტერიტორიაზე უნდა განთავსდეს დამხმარე ნაგებობა გენერატორის და საჭიროების შემთხვევაში სხვა მოწყობილობების განსათავსებლად.

არქიტექტურული გადაწყვეტა მომზადებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობის, არსებული სამშენებლო ნორმების და სტანდარტების გათვალისწინებით.

გამარჯვებულმა კონკურსანტმა, გამაგრებითი სამუშაოების პროექტის შედგენისას უნდა გაითვალისწინოს და იხელმძღვანელოს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის 2013 წლის 8 აპრილის N5001195813 დასკვნით.

<u>გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების დადებიდან 60 კალენდარულ დღეში კონცეფციისა და ესკიზის შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა.</u>

დაინტერესებულ კონკურსანტებს, სააგენტოსთან წინასწარ შეთანხმებით უფლება აქვთ შენობა-ნაგებობები დაათვალიერონ მათი განთავსების ადგილზე.

2. **კონკურსში მონაწილეობის საფასური.**

2. 1. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შემდეგ ანგარიშზე:
ს.ს. ბანკი „რესპუბლიკა“-ს ცენტრალური ფილიალი,
ბანკის კოდი: REPLGE22
მიმღები: სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
IBAN: GE52BR0000010591718543

2.2. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი;

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი;

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

2. 3. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს არ განიხილება.

3. საკონკურსო წინადადების წარდგენა

3.1 საკონკურსო წინადადება დალუქული კონვერტით წარმოდგენილი უნდა იქნეს არაუგვიანეს 2013 წლის 18 ივლისის 15:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გამრეკელის ქ. N3, სსიპ - „ღვინის ეროვნული სააგენტო“, მე-4 სართული, შესყიდვების სამსახური. კონვერტის მარკირება უნდა შეიცავდეს:

ა) კონკურსის დასახელებას;

ბ) კონკურსანტის შესახებ ინფორმაციას: კონკურსანტის დასახელება, ფაქტიური მისამართი, პასუხისმგებელი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია.

3.2. საკონკურსო წინადადება და ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულენაზე და ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

3.3. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს საკონკურსო კომისია.

3.4. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.

3.5. საკონკურსო წინადადებების გახსნა და განხილვა განხორციელდება 2013 წლის 18 ივლისს 15:00 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გამრეკელის ქ. N3, სსიპ - „ღვინის ეროვნული სააგენტო“.

3.6. კონკურსის შედეგები გამოცხადებული იქნება არაუგვიანეს 2013 წლის 25 ივლისისა.

3.7 გამარჯვებული კონკურსანტის გარდა კონკურსზე წარმოდგენილი ყველა წინადადება კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

3.8 საკონკურსო წინადადება უნდა შეიცავდეს:

ა) ტექნიკური დავალების პირობების გათვალისწინებით შედგენილ კონცეფციასა და ესკიზების ელექტრონულ ვერსიას;

ბ) ტექნიკური დავალების პირობების გათვალისწინებით შედგენილ კონცეფციასა და ესკიზებს ფერადად ამობეჭდილი სახით შესაბამისი ფორმატით;

გ) კონცეფციის განმარტებით ბარათს, რომელშიც განხილულ იქნება არქიტექტურული გადაწყვეტის ძირითადი იდეა, პრინციპი, გამოყენებული მასალა და ა.შ. დასაბუთება უნდა იყოს მომზადებული კომპეტენციის მაღალი დონით და ეფუძნებოდეს თანამედროვე არქიტექტურის გამოცდილებას.

დ) ინფორმაციას მონაწილე კონკურსანტის მიერ განხორციელებული არანაკლებ 3 მსგავსი პროექტის შესახებ დამკვეთების და სახელშეკრულებო ღირებულების მითითებით;

ე) საკონკურსო წინადადების ფასს, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 50,000.00 ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

ვ) კონკურსანტის რეკვიზიტებს (დასახელება, იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი, ხელმძღვანელის თანამდებობას, სახელსა და გვარს, საკონტაქტო ტელეფონს, ელ ფოსტის მისამართს, საბანკო რეკვიზიტებს.)

ზ) საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს.

თ) უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილ აფიდავიტს დანართ N1-ის შესაბამისად.

3.9 საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება კონკურსის პირობებით განსაზღვრულ სავარაუდო ღირებულებას ანდა არ შეიცავს 3.8 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტებიდან ერთერთს მაინც არ განიხილება.

4. საკონკურსო წინადადების შეფასება.

4.1 საკონკურსო წინადადებები შეფასდება ქვემოთ მითითებული კრიტერიუმებისა და ამ კრიტერიუმების პრიორიტეტულობის კოეფიციენტების მიხედვით. შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით. კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის დამსწრე წევრთა უმრავლესობით მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

4.2 საკონკურსო წინადადებები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებითა და პრიორიტეტულობის კოეფიციენტებით:

#	**შეფასების კრიტერიუმი**	**კოეფიციენტი**
1	კონცეფციისა და ესკიზის შესაბამისობა ტექნიკური დავალების მოთხოვნებთან	0,5
2	საკონკურსო წინადადების ფასი:	0,4
3	კონკურსანტის გამოცდილება	0,1
	სულ:	1,0

5. საკონკურსო პრემიის ანაზღაურების პირობები.

5.1 საკონკურსო პრემია 5000 ლარის ოდენობით კონკურსში გამარჯვებულ მონაწილეს გადაეცემა შემსყიდველ ორგანიზაციასთან ხელშეკრულების გაფორმებისა და შესაბამისი საავტორო უფლებების სსიპ - „ღვინის ეროვნული სააგენტო“-სათვის გადაცემის შემდეგ, არაუგვიანეს 10 საბანკო დღის განმავლობაში.

6. სახელწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების აუცილებელი პირობები

6.1 კონკურსში გამარჯვებულთან ხელშეკრულება გაფორმებული იქნება კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში.

6.2 გამარჯვებული კონკურსანტი ვალდებულია ხელშეკრულების დადებიდან 60 კალენდარულ დღეში წარმოადგინოს კონცეფციისა და ესკიზის შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

6.3 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება ხორციელდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით და დასტურდება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

6.4 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში.

6.5 ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს წინასწარ, სახელშეკრულებო ღირებულების არაუმეტეს 30%-ისა, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი წინასწარ გადასახდელი თანხის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტიის ფარგლებში. გადახდა მოხდება საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში. წარმოდგენილი გარანტიის მოქმედების ვადა 10 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

6.6 საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და

წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. „შემსყიდველი“ ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

6.7 მიმწოდებელი ვალდებულია, საჭიროების შემთხვევაში მოუმზადოს „შემსყიდველს“ საპროექტო დოკუმენტაცია შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ორგანოს არქიტექტურულ სამსახურში წარსადგენად და შესაბამისი ნებართვების მისაღებად.

დანართი N1

აფიდავიტი

საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

- ჩემთვის ცნობილია, რომ საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;
- უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს საკონკურსო წინადადება;
- ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია საკონკურსო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;
- ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი „კონკურენტი“ აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს საკონკურსო წინადადება ამ კონკურსში;
- მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:
    - საკონკურსო წინადადების ფასი;
    - საკონკურსო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
    - საკონკურსო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
    - ისეთი საკონკურსო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული კონკურსის პირობებს;
    - შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება საკონკურსო წინადადება.

* საკონკურსო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არგაუმჟღავნებს კონკურენტს საკონკურსო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე. გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა_____

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195^1 მუხლის შესაბამისად.